პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ივნისი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

01:18:03:008:1.38
01:18:03:008:251
01:18:03:008:08
01:18:03:008:265
01:18:03:008:009
01:18:03:008:041
01:18:03:008:007
01:18:03:008:133
01:18:03:008:076
01:18:03:008:140
01:18:03:008:110
01:00:324
01:00:287
01:00:1105
01:00:650
01:00:050
01:18:09:004:016
01:18:09:004:034
01:01:779
01:18:09:005:168
01:18:09:004:018
01:18:09:004:017
01:18:09:005:115
01:18:09:005:160
01:01:753
01:18:09:005:176
01:18:09:005:023
01:18:09:005:024
01:18:09:005:012
01:18:09:004:051
01:18:09:004:086
01:18:09:004:071
01:18:09:004:003
01:18:09:004:050
01:18:09:004:101
01:18:09:004:105
01:18:09:004:106
01:18:09:004:109
01:18:09:004:061
01:18:09:003:102
01:18:09:003:109
01:18:09:003:103
01:18:09:003:104
01:18:09:003:107
01:18:09:003:034
01:18:09:003:092
01:18:09:003:034
01:18:09:006:019
01:01:169
01:00:225
01:01:834
01:00:917
01:00:1105
01:00:324
01:00:287
01:00:650
01:00:050
01:01:779
01:01:753
01:01:169
01:01:834
01:00:917
01:00:225
01:00:324
01:00:287
01:00:650
01:00:050
01:00:1105

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი
Georgian Composers Union

0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 123 / 123 D. Agmashenebeli ave., Tbilisi, 0102, Georgia
ტელ./Tel.: +995 32 295 41 64, / +995 599 50 47 59; E-mail: geocomposers@gmail.com; www.composersunion.ge

№32 02.12.2022

10/032233943-03

ქალაქ თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ვაჟა-ფშაველასა და ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის შალვა დავითაშვილის (1934-2011) სახელის უკვდავსაყოფად ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს შალვა დავითაშვილის სახელი.

შალვა დავითაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი ავტორია: 2 ბალეტის („ვეფხი და მოყმე" და „ზვიადაური"), 2 სიმფონიის („უშბა" და „1991 წელი"); 3 სიმფონიური პოემის; 4 კონცერტის კლარნეტისა და ორკესტრისთვის; კონცერტის ფლეიტისა და ორკესტრისთვის; 3 კანტატის; ვოკალურ-სიმფონიური ციკლების, მრავალი კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოების, საგუნდო და სასიმღერო ჟანრის ნაწარმოებების, ასევე, თეატრალური და კინომუსიკისა.

შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, შალვა დავითაშვილი პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა: მუშაობდა ახალქალაქის მუსიკალური სკოლის დირექტორად (1966-1968); თბილისის II სამუსიკო სასწავლებელში კომპოზიციის სპეციალობის პედაგოგად (1969-2006); სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის სანდრო ახმეტელის თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგედ; საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის რედაქციის მუსიკალური ნაწილის გამგედ; კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში და შოთა რუსთაველის სახ. თეატრალურ უნივერსიტეტში; წლების მანძილზე იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი; 1993 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

2016 წელს დაარსდა შალვა დავითაშვილის სახელობის კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ქალაქ თელავში. მისი ნაწარმოებები წარმატებულად სრულდება როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ (საფრანგეთი, არგენტინა, უკრაინა). შავლვა დავითაშვილი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. თბილისში მისი სახლის და ქ. თელავის №1 საჯარო სკოლის კედლის ფასადზე გაიხსნა მისი მემორიალური დაფები.

გთხოვთ, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეჯერებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ქუჩის ადგილმდებარეობის დადგენა მოხდეს ოჯახთან შეთანხმებით (საკონტაქტო პირი - ვიქტორია სირაძე-დავითაშვილი, ტელ.: 593 595 354).

წინასწარ გიხდით მადლობას მხარდაჭერისთვის.

პატივისცემით,

საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებითი კავშირის
თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი შავერზაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/19044725**
თარიღი: **15/11/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის, პროფესორ გიორგი შავერზაშვილის 2022 წლის 05 დეკემბრის საქმე #10/032233942-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის შალვა დავითაშვილის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

შალვა დავითაშვილი

(1934-2011)

კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტი (1962, ხელმძღვანელი პროფ. ალექსი მაჭავარიანი). 1961 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1966–1968 წლებში იყო ახალქალაქის სამუსიკო სკოლის დირექტორი, 1969 წლიდან — თბილისის II სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (თეორიული დისციპლინები, კომპოზიცია), 1993–2011 წლებში — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუზეუმის დირექტორი. ძირითადი ნაწარმოებებია: 2 ბალეტი — „ვეფხი და მოყმე“, დაიდგა ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში („ზვიადაური“) 1985, დაიდგა იქვე, 2 სიმფონია — „უშბა“3 სიმფონიური პოემა — „ვეფხი და მოყმე“ „9 აპრილი“, „დავით აღმაშენებელი“ , კლარნეტისა 940 და ფლეიტის კონცერტები,3 კანტატა, ვოკალურ-სიმფონიური ციკლები ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ლექსებზე; რომანსები ქართველი პოეტების ლექსებზე, გუნდები, სიმღერები, მუსიკა სპექტაკლების, დოკუმენტური და თოჯინური ფილმებისათვის და სხვ. დაჯილდოებულია ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიით .